ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რუსთავი 2 მის დამფუძნებლებს უნდა დაუბრუნდეს



გვ.2

დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებასავრცელებენ

29 ნოემბრიდან

საბავშვო ენციკლოპედია




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 2016

№284 (7209)

ფასი: 50 თეთრი

# ონლაინსესხების გაცემა აიკრძალება



თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზი გაიზრდება

გვ.5

## 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხები ლარში გადავა

არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით

## ონლაინსესხების კომპანიები პრემიერის ინიციატივას ანტიკონსტიტუციურს უწოდებენ




გვ.5

## „ეს მთავრობა 3 თვეში შეიცვლება“



გვ.3

გიგლა ბარამიძე:

„ზოგი ვერტმფრენით მოინდომებს გაქცევას, ზოგი – წითელი ხიდით“

„ეს ხელისუფლება გამოპეჯიხებულია"

გვ. 2

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## პაატა შეშელიძე: „ეროვნულმა ბანკმა ლარის მასა უნდა შეამციროს“

„მთავრობამ ვალების დაგროვება უნდა შეწყვიტოს“

გვ.5



## შოთა მალაშხია: „პარლამენტის გადაწყვეტილებები პროცესებს ქუჩაში გადმოიტანს“

გვ.4

„ოცნებას“ პარლამენტში ოპოზიცია არ ჰყავს“





გვ.2

## კონსტანტინე გამსახურდია: „ვერცერთი ხელისუფლება მაჟორიტარებს ვერ შეელევა“

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ატესტატებისა და დიპლომების დამზადება-გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა

გვ.4



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კონსტანტინე გამსახურდია: „ვერცერთი ხელისუფლება მაჟორიტარებს ვერ შეელევა“

ნათია ხურცილავა

**არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობაზე საუბრობს.**




***— ბატონო კონსტანტინე, არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ წევრი გია ვოლსკი აცხადებს, რომ ხმამაღალი, რეალობას მოწყვეტილი განცხადებით ისინი პოლიტიკურ ველზე თავის შენარჩუნებას ცდილობენ. რეალურად რატომ გადაწყვიტეთ, რომ ასეთი მძაფრი განცხადება გაგეკეთებინათ?***

— შეფასებების შეფასებას ნამდვილად არ შევუდგები, თუმცა ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია და რისი მომსწრეც გახლდით, როგორც მაჟორიტარი კანდიდატი, არის ის, რომ არჩევნები ნამდვილად არ ჩატარდა სათანადო სტანდარტებით.

***— კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ ზოგადად საარჩევნო გარემოს. ადგილი ჰქონდა მანიპულაციას, მოსყიდვას. ვგულისხმობ საარჩევნო კამპანიის დროს მიმდინარე პროცესებს. ეს ყველაფერი დეტალურად არის იმ მემორანდუმში ჩამოთვლილი, რომელსაც ხელს აწერს არასაპარლამენტო ოპოზიციის 9 პარტია. უმჯობესი იქნებოდა, ხელისუფლების წარმომადგენელს პასუხი გაეცა თითოეულ ამ პუნქტზე. მთავარია, დეტალურად გაეცეს პასუხი, თორემ ისე ყველაფერზე შეიძლება თქვა, რაც გინდა, თუნდაც ის, რომ ეს ადამიანები პოლიტიკური გადარჩენისთვის იბრძვიან. ვის ექნება გადასარჩენად საქმე, ამას ვნახავთ. ვისაც მეტი აქვს დასაკარგი, მას უფრო მოუწევს გადარჩენისთვის ბრძოლა, ვიდრე იმას, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი.

***— 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ყველა საელჩომ აღიარა. არავის მისი ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ვინაიდან ამ პარტიებმა ბარიერი ვერ გადალახეს, ამიტომაც აპროტესტებენ?***

— ჩვენ არ გვითქვამს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების სრულად არალეგიტიმური არჩევნები იყო. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ არჩევნებს აკლია ლეგიტიმურობის ხარისხი. ეს არ არის დემოკრატიულობის ის ხარისხი, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს სჭირდება. გარკვეული ლეგიტიმურობა ამ არჩევნებს მაინც აქვს, რამდენადაც ეს არჩევნები მართლაც არის საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული. უბრალოდ, ჩვენ ამ არჩევნებს ვერ დავარქმევთ სამართლიან, თავისუფალ არჩევნებს.

***— ბატონო კონსტანტინე, საარჩევნო კოდექსის მიმართულებით ხელისუფლებასთან კვლავ იქნება შეხვედრები, მოლაპარაკებები?***

— ალბათ, იქნება, მაგრამ, მე არ მგონია, რომ იმ ფონზე, რომელიც ჩვენ დღეს პარლამენტში გვაქვს, ვგულისხმობ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რომელიც ხელისუფლებამ სწორედ მაჟორიტარული არჩევნებით მოიპოვა, ხელისუფლება მაჟორიტარებს შეელიოს. შერეული სისტემა, რომელიც დღეს მოქმედებს, ყველა ხელისუფლებას აწყობს.

***— არაფერს ნიშნავს გაცემული პოლიტიკური პირობა, რომ 2020 წლისთვის უკვე სხვა სისტემით ჩატარდება არჩევნები, თუ დღეს ეს საკითხი უკვე აღარ დგას დღის წესრიგში?***

— ალბათ, აღარ. ეს გაცემული პირობა მათ დაივიწყეს, რადგან კარგად გვახსოვს, რომ ისინი ხელისუფლებაში დარჩენას 2030 წლამდე აპირებენ. რუზველტი ამბობდა, პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება, რადგან ხდება, ე.ი. დაგეგმილიაო. ქვეყანაში, სადაც ასეთი მაღალია უმუშევრობის დონე, სადაც არ არსებობს შემოსავალი, მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი გაღატაკებულია. შეუსრულებელი პოლიტიკური დაპირებები, დამიჯერეთ, ბევრს არაფერს ნიშნავს.

***— გერმანულ მოდელზე იყო საუბარი. დღეს შეიძლება, ოპოზიციამ კვლავ შესთავაზოს ხელისუფლებას გერმანული მოდელი?***

— შეიძლება, კვლავ იყოს გერმანულ მოდელზე საუბარი, არაფერია გამორიცხული, მაგრამ მაშინ, არჩევნების წინა პერიოდში, ეს მოდელი იყო რაღაცნაირი გამოსავალი. რეალურად მაშინ ყველაფერზე უარი თქვა.

***— გარკვეული ცვლილებები მაინც მოხდა.***

— დიახ, ისინი წამოვიდნენ მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებებზე, მაგრამ თვით ეს კოსმეტიკური ცვლილებებიც კი არ შეუთანხმეს ოპოზიციას. რაც შეეხება გერმანულ მოდელს, ფაქტია, რომ ეს მოდელი ნაციონალურმა მოძრაობამ და რესპუბლიკურმა პარტიამ ჩააგდეს. ამ ორი პარტიის სინდისზეა მისი ჩაგდება. აშკარად არ აწყობდა გერმანული მოდელი ნაციონალურ მოძრაობას.

***— რატომ?***

— ის უკვე აღარ იქნებოდა მეორე პარტია.

***— გერმანული მოდელი რამდენად აწყობს ხელისუფლებას, ის მაშინ რამდენად იყო მზად მის მისაღებად?***

— არც იყო მზად, მაგრამ მაშინდელი ფორმატის ზოგიერთი წარმომადგენელი აქტიური დიალოგის რეჟიმში იყო დავით უსუფაშვილთან, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ შეიძლება, ყველაფერი ისე არ მოხდეს, როგორც დაგეგმავ. ეს მოდელი ჩავარდა. საკითხი მარტივად დგას, საქმე არც გერმანულ მოდელშია და არც ამდაგვარ არაფერში. საქმე პოლიტიკურ ნებაშია. თუ გინდა, გააკეთებ, თუ არა — არა.

# რუსთავი 2 დამფუძნებლებს უნდა დაუბრუნდეს

## დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებას ავრცელებენ




გუშინ, 29 ნოემბერს, რუსთავი 2-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ტელეკომპანიის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესს განცხადებით გამოეხმაურნენ.

განცხადებაში ნათქვამია:

— რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე პროცესი ფინალს უახლოვდება — უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სხდომა უახლოეს მომავალში განაჩენს გამოიტანს. ჩვენ, ვინც დავაფუძნეთ, ნულიდან შევქმენით და ქვეყნის ნომერ პირველ ტელევიზიად ვაქციეთ რუსთავი 2, ვისაც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა იძულებით, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ დაგვათმობინეს დამოუკიდებელი მედიასაშუალება, გვინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადოთ:

2012 წელს შევიტანეთ პროკურატურაში განცხადება, ჩატარებულიყო გამოძიება დამფუძნებლებისთვის ტელევიზიის საკონტროლო პაკეტის ჩამორთმევის თაობაზე.

2015 წელს, მიუხედავად გაწელილი სამართლებრივი პროცესისა, პროკურატურამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გვცნო დაზარალებულად, თუმცა, გაუგებარი მიზეზების გამო, საქმე შემოდო თაროზე და არ მისცა მას მსვლელობა.

ამ პროცესის პარალელურად, 2015 წლის აგვისტოში, ქიბარ ხალვაშმა დაიწყო სამოქალაქო დავა რუსთავი 2-ის წინააღმდეგ. ვინაიდან ეს პროცესი აღმოჩნდა ერთადერთი სამართლებრივი გზა, ჩვენ უპირობოდ დავუჭირეთ მხარი მოვლენების ამგვარ განვითარებას.

დღეს, სასამართლო დავის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, პროკურატურის უმოქმედობის გამო ჩვენ კვლავ არ გაგვაჩნია არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, აქტიურად ჩავერთოთ არსებულ პროცესში.

იმედი გვაქვს, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილება იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი სამართლიანობის აღდგენის ხანგრძლივ პროცესში. რაც შეეხება საქმის სამართლიან ფინალს, ის დადგება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსთავი 2 დაუბრუნდება დამფუძნებლებს.

დარწმუნებული ვართ, მოვა დრო და ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტული მანქანა კვლავ გახდება ზეპარტიული, დამოუკიდებელი, კრიტიკული, მიუკერძოებელი მედიასაშუალება. მხოლოდ ასეთი რუსთავი 2 შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის განვითარებას.

# გიორგი მარგველაშვილმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ ზურაბ პატარაძე შეარჩია



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ ზურაბ პატარაძის კანდიდატურა შეარჩია.

გიორგი მარგველაშვილმა მედიას ზურაბ პატარაძის კანდიდატურა პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე წარუდგინა.

ზურაბ პატარაძემ მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

— დარწმუნებული ვარ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივი მუშაობით, ერთად ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რეგიონის საკეთილდღეოდ, — განაცხადა ზურაბ პატარაძემ ბრიფინგზე.

გიორგი მარგველაშვილმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის შესარჩევად კონსულტაციები 28 ნოემბერს გამართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძესთან.

მედიანიუსი

# სიღნაღში მამაკაცმა ორსული რძალი დაჭრა და ძმის სიმამრი მოკლა




ნიუპოსტის ინფორმაციით, სოფელ ულიანოვკაში ორი დღის წინ მაზლმა საკუთარი ორსული რძალი და რძლის მამა დაჭრა, რის შედეგადაც დაჭრილი მამაკაცი გარდაიცვალა. ქალბატონი ამ დროისათვის სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

როგორც ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, დამნაშავე დაკავებულია. საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ნიუპოსტი

# იან კელი: „ვერ განვასხვავე, რომელი იყო ქართველი და რომელი — ამერიკელი“




აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების 17 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ქართველმა და ამერიკელმა სამხედროებმა საჩვენებელი ტაქტიკური სწავლება გამართეს.

— ჩემთვის დიდი პატივია ამ ცერემონიაში მონაწილეობა და ერთობლივი წვრთნის ყურება. განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის იმის ნახვა, თუ როგორ მუშაობენ ერთად ამერიკელი და ქართველი სპეცრაზმელები. ნამდვილად ვერ განვასხვავე, რომელი იყო ქართველი და რომელი — ამერიკელი. აშკარაა, რომ საქართველო დიდ პროგრესს აღწევს მიზნის მისაღწევად, — განუცხადა ჟურნალისტებს იან კელიმ ცერემონიის დასრულების შემდეგ.

მედიანიუსი


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ეს მთავრობა 3 თვეში შეიცვლება“

## გიგლა ბარამიძე; „ზოგი ვერტმფრენით მოინდომებს გაქცევას, ზოგი – წითელი ხიდით“

შორენა მარსაგიშვილი



**„ეს ხელისუფლება გამოჰეჯირებულია“**

**რატომ არ ეშინია „ქართულ ოცნებას" ხალხის უკმაყოფილების, რა გამოაჩინა ხელისუფლებამ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების დროს, რა პერსპექტივა გაუჩნდა ნაციონალურ მოძრაობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***– ბოლო დღეების განმავლობაში მთავრობის წევრები ძალიან უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. სოზარ სუბარმა მთელ ერს შთააგონა, რომ ლარის კურსის ვარდნა მხოლოდ იმათზე აისახა, ვისაც კრედიტი აქვს. თქვენ რას ფიქრობთ ამათ შეფასებებზე?***

– გასულ კვირას 3 დღის განმავლობაში მთელი ქვეყანა იძულებული ვიყავით, გვესმინა მთავრობის წევრებისთვის. ეს იყო 3 დღე, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ დაამხეს ნაციონალებმა დასამტკიცებელ მთავრობას თავზე ყველაფერი.

4 წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ ლარის კურსის გაუფასურება მოქალაქე გიორგი ქადაგიძის ბრალი იყო. ჰოი, საოცრებავ, ქადაგიძე აღარ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ვალუტა უარეს დღეშია.

ახლა ლარის გაუფასურებას ჩვენ, მოსახლეობას, გვაბრალებენ. თურმე ჩვენ არ გვცოდნია ეკონომიკური, ფისკალური და საგადასახადო დეტალები. სინამდვილეში, თავად არის ეს ხელისუფლება გამოჰეჯირებული. არსებულ ვითარებას ვერც მთავრობის შეცვლა უშველის, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არ ყოფილა რეალური ცვლილებები. ეს იყო მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები იყო. კოსმეტიკა კი მხოლოდ მანდილოსნებს უხდებათ.

***– იქნებ ამათაც მოიხდინონ?***

– რა უნდა მოიხდინონ, ყველა მიმართულებით კოჭლობენ და ამას კოსმეტიკით ვერ დაფარავენ. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამას ვერც კი ხვდებიან. სანამ ესენი იქნებიან, ეკონომიკური პრობლემების მოგვარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ.

მართლა არ ვიცი, როგორ უნდა მოახერხო, რომ პირველივე დღეებში დაანახო მოსახლეობას, თუ რა უსუსური ხარ. განათლების მინისტრად ისე დაამტკიცეს ეს გაუგებრობა, რომ განათლებასა და მეცნიერებაზე არაფერი ჰკითხეს. კომბლეს მეცხვარეობას უწუნებს, თავად სტუდენტებსა და მოსწავლეებს კლიენტებად მოიხსენიებს.

მერე იყო და პრემიერმა ლიბერტარიანული ეკონომიკა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასთან აურია. ოლიგარქიულ ეკონომიკას აშენებენ თუ რა ხდება? ამათ ფონზე შედარებით უკეთესად გამოიყურება იუსტიციის მინისტრი, მაგრამ იმანაც დაიბრალა რაღაცები.

***– წულუკიანმა რა დაიბრალა?***

– ის, რაც მისი გაკეთებული არ არის. „ქართულ ოცნებას“ სხვისი გაკეთებული საქმეების დაბრალება ახასიათებს. იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ახალქალაქის რაიონის სოფელ ყუმურდოში პირველად ის შევიდა და მან დაიწყო იქ საქმეების კეთება. წულუკიანმა არ იცის, რომ იქ ჯერ კიდევ 15 წლის წინ ვახორციელებდით სხვადასხვა ეროვნულ პროექტს. ყუმურდოს წყალსადენი პირადად ჩემი გაყვანილია. მინდა, მივმართო წულუკიანს, თავი დაანებოს ერთი დეპუტატისთვის მიბაძვას და საქმეს მიხედოს.

***– ვის ან რაში ბაძავს წულუკიანი?***

– არის ერთი მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც იბრალებს, გინდა თუ არა, მე გავიყვანე სამხრეთ საქართველოდან რუსული ჯარებიო. არადა, ეს ადამიანი საერთოდ არ ჩასულა არასდროს ახალციხეში.

განცხადებები ხომ უცნაური აქვთ, მაგრამ საკადრო პოლიტიკა მთლად გამაოგნებელია. სასამართლოებში სულ ადეიშვილის ხალხს ნიშნავენ და ბარემ ისიც დანიშნონ სადმე. ინფრასტრუქტურის მინისტრად ალავიძე დანიშნეს, რომელიც სააკაშვილის დროს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო.

გვიჩიანის საქმესთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია საერთოდ ანეკდოტია. ეს ადამიანი 9 წლის წინ ჩასვეს ციხეში, დააბრალეს ის, რაც არ ჩაუდენია. მისი საქმის გამომძიებელი და პროკურორი, იცით, ვინ იყო? შოთაძე, რომელიც ახლა ქვეყნის მთავარი პროკურორია.

***– ამაზე შოთაძემ განმარტებები გააკეთა.***

– თქვა, არასწორი დოკუმენტები მომიტანესო. ეს არის და ეს. ადამიანს 9 წელი ციხეში ტყუილად გაატარებინეს და ამაზე პასუხს არავინ აგებს. სანამ ქართველი საზოგადოება მიზეზების სხვაგან ძებნას თავს არ დაანებებს, არაფერი შეიცვლება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ რაც ხდება, ყველაფერი საზოგადოების ბრალია?***

– ჩვენი ბრალია და სხვისკენ ხელის გაშვერას თავი უნდა დავანებოთ. ხელისუფლება რომ ცუდია, ესეც საზოგადოების ბრალია. სწორედ მან მოიყვანა ასეთი ხელისუფლება. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ყველანი ვხედავთ, როგორი წახალისებულია ქვეყანაში ღალატი. მოღალატეები სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე ინიშნებიან. საზოგადოება ამას მშვიდად ხვდება. როცა ამ მოღალატეებს ესაუბრები, ხელს ართმევ, თავადაც თანამონაწილე ხარ ამ ქმედებების.

ასე რომ, თავი დავანებოთ ქართველებმა სხვაგან მიზეზების ძებნას. რაც გვჭირს, ჩვენი ბრალია – რამდენსაც ვაბედვინებთ მთავრობას, იმდენს გვიბედავენ.

***– რამდენსაც ვაბედვინებთ, იმდენს გვიბედავს მთავრობაო და როდემდე გაგრძელდება ეს ამბავი?***

– იქამდე გაგრძელდება, სანამ ხალხი ამას მოითმენს. „ქართულ ოცნებაში“ ბევრი მეგობარი მყავს. ერთ-ერთ მათგანს რამდენიმე თვის წინ ვესაუბრე. მას მაშინაც მაღალი პოსტი ეკავა და ახლა უფრო დაწინაურებულია. ამ ადამიანს ვუთხარი, რატომ იქცევით ასე, არ ასრულებთ ხალხის დაპირებებს-მეთქი. მითხრა, ხალხი მაინც არ გამოვა ქუჩაშიო. ხალხის პასიურობაზე აქვთ ყველაფერი გათვლილი.

საზოგადოება ბევრ რამეში ტყუის და ცდება, მაგრამ მისი მოთმინება უსასრულო არ არის. ასე თუ გაგრძელდა, ძალიან მალე დაიწყება მღელვარება. დუღილის პროცესი თუ დაიწყო, მაშინ ესენი პროცესებს ველარ წარმართავენ. ზოგი ვერტმფრენით გაიქცევა, ზოგი – წითელი ხიდით. საკონსტიტუციო უმრავლესობაში მყოფი „ოცნება“ 27 ნაციონალს ვერ უმკლავდება და სახალხო მღელვარებას გაუძლებს?! მთავრობის დამტკიცების დღეებში მათ ძალიან გაიბითურეს თავი და, როგორც ამბობენ, ეს მათთვის ძალიან მოულოდნელი იყო.

***– მოულოდნელი რატომ იყო, ნაციონალებთან რაიმე შეთანხმება ჰქონდათ?***

– ნაციონალებთან 2012 წლიდან არიან შეთანხმებული. ძველ ცოდვებსაც იმიტომ ახსენებენ, რომ სხვისკენ სჭირდებათ ხელის გაშვერა. ეს ამბები რომ აწუხებდეთ, ამ საქმეებს დიდი ხნის წინ გამოიძიებდნენ.

რაც შეეხება ამათ გაბითურებას, ეს „ოცნებამ“ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ნაციონალები იმ თემებს აჟღერებენ, ესენი რაღაც გაუგებრობებს ბლუყუნებენ, თანაც ყველა სხვადასხვა რამეს ამბობს, კალაძემაც კი ფილოსოფოსობა დაიწყო. ერთი სპიკერი მაინც შეარჩიონ, რომ იმან თქვას სათქმელი. სირცხვილია ამდენი სისულელის ლაპარაკი.

***– ამბობთ, „ოცნება“ სისულელეებს ბლუყუნებს, ნაციონალები იმ თემებით აპელირებენ, რომლებიც ხალხს აინტერესებსო. ამით ნაციონალების პოპულარიზაციას ხომ არ უწყობენ ხელს?***

– ხელს როგორ არ უწყობენ, აბა, 27 ნაციონალი როგორ მოხვდა პარლამენტში? შეიკეტნენ და გადაინაწილეს ადგილები. ეს ძალიან ძვირად დაუჯდება „ოცნებას“ და ამას ნელ-ნელა აცნობიერებენ. მართალია, ესენი ისევ ყველაფერს ნაციონალებს აბრალებენ, მაგრამ ამას ხალხი აღარ დაიჯერებს და ყველაფერზე ისინი იქნებიან პასუხისმგებლები.

ძალიან მალე შეფუცხუნდება „ოცნება“ და დაიწყებს მოძრაობებს. ის კაცი, რომელიც დღეს საქართველოში მთავრობას აკომპლექტებს, 3 თვეში ერთხელ შემოგვთავაზებს სამთავრობო ცვლილებებს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, 3 თვეში მთავრობაში ცვლილებები იქნება. შეიძლება, უფრო ადრეც მოხდეს. ესენი ისეთ სისულელეებს ყრანტალებენ, რომ არ ვიცი.

# ვინ იღებს ყველაზე მაღალ ხელფასს საქართველოში

**საინფორმაციო ცენტრების ქსელის მიერ ჩატარებული კვლევით, რომელიც თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე განხორციელდა, გამოირკვა, რომ ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე 4-ჯერ მეტ გასამრჯელოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი ცალკეული იურიდიული პირების ხელმძღვანელები იღებენ.**



სახელმწიფოს კუთვნილი სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძის წლიური გასამრჯელო 336.000 ლარია, რაც თვეში საშუალოდ 28.000 ლარს შეადგენს.

იგივე ოდენობით გასამრჯელოს იღებს სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორიც. მართალია, ფონდის ამჟამინდელ აღმასრულებელ დირექტორ დავით საგანელიძეს სრული კალენდარული წლის დეკლარაცია ჯერჯერობით არ წარუდგენია, თუმცა ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი კოვზანაძის დეკლარაციის თანახმად, მისი წლიური გასამრჯელო ასევე 336.000 ლარი იყო.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მამუკა ბახტაძის წლიური ანაზღაურება 225.134 ლარია. ამასთან, იგი პარალელურად არის „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიების, შპს „ჯორჯია ტრანზიტის“ და შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, საიდანაც მისი შრომითი ანაზღაურება ერთობლივად 64.457 ლარია.

საერთო ჯამში, მამუკა ბახტაძის მიერ მიღებული წლიური შემოსავალი 289.591 ლარს შეადგენს, რაც თვეში საშუალოდ 24.132 ლარია.

წელიწადში 255.425 ლარს შეადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის გასამრჯელო (თვეში საშუალოდ 21.285 ლარი). ამავე კომისიის წევრის, კახა ბექაურის ხელფასია 242.685 ლარი (თვეში საშუალოდ 20.224 ლარი).

175.000 ლარის ოდენობით გასამრჯელოს იღებს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი დავით თვალაბეიშვილი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავას წლიური გასამრჯელოა 147.750 ლარი, იმავე კომისიის წევრ გოჩა შონიასი – 146.550 ლარი.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ყოფილი დირექტორის, არჩილ ცაბუტაშვილის გასამრჯელო წელიწადში 142.500 ლარს შეადგენდა, მომდევნო ხელმძღვანელებს კი, ხშირი პოზიციური ცვლილებების გამო, წლიური შემოსავლების სრული დეკლარირება არ მოუხდენიათ.

გარდა ამისა, სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის გასამრჯელო წელიწადში 132.840 ლარს შეადგენს; სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანიის, შპს „ენერგოტრანსის“ ხელმძღვანელ კახა სეხნიაშვილისა – 127.059 ლარს; შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორის მამუკა კობახიძისა – 124.000 ლარს; სააქციო საზოგადოება „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის გიორგი ბეჟუაშვილისა – 109.432 ლარს და ა.შ.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ვალდებულება მხოლოდ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 100% წილით დაფუძნებული საწარმოებისა და მათი შვილობილი საწარმოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ, რის გამოც იმავე საწარმოების სხვა მაღალი რანგის პირთა შემოსავლების ოდენობა საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

* * *

შედარებისთვის, ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წლიური ანაზღაურება 82.800 ლარს შეადგენს, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის გასამრჯელო კი 80.000 ლარი იყო.

2015 წელს მხოლოდ 51.000 ლარი შეადგინა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა (ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ქონებრივი დეკლარაცია ჯერ არ წარუდგენია).

საქართველოს მთავრობის სხვა წევრების, მინისტრების მიერ თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობა დაახლოებით 75.000 ლარია.

გაცილებით მაღალ ანაზღაურებას იღებენ მინისტრების მოადგილეები, განსაკუთრებით ძალოვან სამინისტროებში. მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილისა და ამჟამად პარლამენტის წევრის არჩილ თალაკვაძის წლიური გასამრჯელო 141.459 ლარი იყო; იმავე მინისტრის მოადგილისა და სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსის ზურაბ გამზარდიშვილისა – 137.406 ლარი; ასევე შს მინისტრის ყოფილი მოადგილისა და დღევანდელი თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიასი – 136.643 ლარი.

რაც შეეხება სხვა უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს: ბოლო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, წლიურად 154.485 ლარის ოდენობით ანაზღაურება მიიღო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ – 150.000 ლარი, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა – 131.802 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის წლიური ანაზღაურება 102.200 ლარს შეადგენს, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილისა კი – 101.300 ლარს.

ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადია საზღვარგარეთის სახელმწიფოებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების, ელჩების, თანამდებობრივი საქმიანობა.

მაგალითად, ავსტრალიაში საქართველოს ელჩის, ვლადიმერ კონსტანტინიდის, გასამრჯელო წლიურად 122.277 აშშ დოლარია, იაპონიაში ელჩის ლევან ცინცაძის – 105.214 აშშ დოლარი, კანადაში ელჩის ალექსანდრე ლაცაბიძის – 101.638 აშშ დოლარი, ნიდერლანდების სამეფოში ელჩის კონსტანტინე სურგულაძის – 92.892 ევრო, კორეის რესპუბლიკაში ელჩის ნიკოლოზ აფხაზავასი – 210.624 ლარი და ა.შ.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გაპიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმსუქ-ლეში ზრდის სეგმენტური მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გახახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შოთა მალაშხია: „პარლამენტის გადაწყვეტილებები პროცესებს ქუჩაში გადმოიტანს“

## „ოცნებას“ პარლამენტში ოპოზიცია არ ჰყავს“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარლამენტი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მოქმედი კანონის შემსუბუქებას გეგმავს. პროექტის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადასვლისათვის მოიხსნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და დაწესდება ადმინისტრაციული სასჯელი.**



ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პარლამენტის ტერიტორიული საკითხების კომისიას, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ასეთი ცვლილებები კატეგორიულად მიუღებელია.

**შოთა მალაშხია:**

— ამ კანონის შეცვლა „ქართულ ოცნებას“ წინა პარლამენტში უნდოდა. პირველი მოსმენა გაიმართა კიდეც, თუმცა პროცესი გაჭიანურდა. მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა პარლამენტის უმცირესობის მხრიდან. პირადად მე ტრიბუნიდან მის ინიციატორებსა და მომხრეებს ორჯონიკიძეები ვუძახე. საბოლოოდ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს თავი დაანებეს და მისი განხილვა აღარ გაუგრძელებიათ.

გაუგებარია, რატომ უნდა მოიხსნას სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინ, თუ ადამიანი დარღვევით შედის ოკუპირებულ ტერიტორიაზე! თუ საზღვრის დარღვევის სხვა შემთხვევები დასჯადია, ეს რატომ არ ისჯება? თუ ვინმე თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და ა.შ. დარღვევით შემოდის საქართველოში, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. თუ ერთ შემთხვევაშია დანაშაული, მაშინ სხვა შემთხვევაში რატომ არ ითვლება დანაშაულად, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიასთან, სადაც განხორციელდა გენოციდი და ეთნოწმენდა.

***— ახლა რატომ დაუბრუნდნენ ამ საკითხს? მისი მოწინააღმდეგეები ამ მოწვევის პარლამენტშიც არიან.***

— იმიტომ, რომ ამ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“, ფაქტობრივად, ოპოზიცია არ ჰყავს. ოპოზიცია უმრავლესობას წინააღმდეგობას ვერ უწევს. ამ პარლამენტში სხვა ფონია შექმნილი. „ქართული ოცნება“ ქვეყნის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა აირჩია. ნაციონალური მოძრაობა, ანუ საპარლამენტო უმცირესობაც არ ასახავს მოსახლეობის ნებას. ნაცმოძრაობამ განაცხადა, რომ ეს არჩევნები გაყალბდა. მიუხედავად ამისა, ამ თემას საერთოდ შეეშვა და მშვიდად დაიკავა სავარძლები პარლამენტში. უმცირესობის დეპუტატები არ გამოხატავენ თავისი ამომრჩევლის, ანუ 500.000 ადამიანის პოზიციას. ისინი „უპრავებენ“ „ოცნებას“ იმას, რასაც ის აკეთებს, პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებით დაწყებული, ოკუპირებული ტერიტორიების კანონის ლიბერალიზაციით დამთავრებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის ნება პარლამენტში კი არა, გარეთ იქნება გამოხატული.

***— გარეთ პარტიები დასუსტდნენ, საზოგადოებაში კი საპროტესტო განწყობა არ იგრძნობა.***

— ეს ერთი შეხედვითაა ასე. ქუჩაში რომ გაივლი, ერთ მოღიმარ სახეს ვერ ნახავ. ამ ხალხს ეტყობა, რომ „ქართული ოცნების“ იმედი არა აქვს და არც ხმა მიუცია მისთვის. ოფიციალური მონაცემებითაც კი, თუ არჩევნებზე მისულების რაოდენობას გავითვალისწინებთ, „ოცნებას“ აქვს სულ 25%-იანი მხარდაჭერა, ის კი საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს.

ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველზე ვისაუბრე. ნაციონალების უმცირესობა თავისი ამომრჩევლის განწყობებს არ გამოხატავს. ხალხს ნაციონალური მოძრაობისათვის არ დაუვალებია „ოცნების“ გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია. საბოლოოდ, გამოდის, რომ ამ პარლამენტს მოსახლეობის 70%-ის მხარდაჭერა და ნდობა არ გააჩნია. თუ ბურჯანაძემ შეძლო არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, რატომ ვერ შეძლო ეს ნაციონალურმა მოძრაობამ? გაყალბებაზე ხომ ამ პარტიამაც გააკეთა განცხადებები!

***— გგონიათ, რომ საპროტესტო განწყობა არსებობს?***

— მუხტი არსებობს. გავიხსენოთ, როგორი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას გიგა ოთხოზორიას მკვლელობაზე. ხალხს არ უნდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შეცვლაც. ასე რომ, პარლამენტის გადაწყვეტილებები პროცესებს ქუჩაში გადმოიტანს.

ამ საკითხებს ემატება ლარის კურსის კატასტროფული ვარდნა, უმუშევრობა, უნდობლობა საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები უკანა პლანზეა გადაწეული. ამაში ბრალი მიუძღვით პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც მთავარ თემად პენსიები აქციეს, თან ამ მხრივ ბევრი ტყუილი დაპირება გასცეს.

***— მუხტი შეიძლება შექმნას აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვამაც? რუსეთი მილიტარიზაციას აგრძელებს.***

— ბუნებრივია. ცხინვალის რეგიონშიც დამუხტულია ვითარება. მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცებამ იქ ლეგიანობისა და ბიზნესის სახე მიიღო. ძალიან ბევრი პრობლემაა. თუ პარლამენტმა ხალხს ახალი სატკივარი დაუმატა, ამის მოთმენა შეუძლებელი გახდება.

# ითამაშებს თუ არა ნაცმოძრაობა ივანიშვილის წესებით

## პარტიაში 7.000-იან ყრილობას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალურ მოძრაობაში ისევ არეულობაა. პარტიის პოლიტსაბჭოს 22 წევრი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და ფართომასშტაბიანი ყრილობის მოწვევას ითხოვს. მათი აზრით, ამ ყრილობაში, სულ მცირე, 7.000-მა დელეგატმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.**

ნაციონალების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პარტიამ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. ისინი ამ პოსტზე უკვე განიხილავენ დავით ბაქრაძის კანდიდატურას.

პოლიტსაბჭოს 22 წევრის განცხადებით კი პარტიიდან მისი დამფუძნებლისა და მთავარი საარჩევნო კაპიტალის მიხეილ სააკაშვილის დისტანცირების მცდელობა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

— ამ სიტუაციაში ორმაგად მნიშვნელოვანია, ჩატარდეს დიდი, მაქსიმალურად წარმომადგენლობითი ყრილობა (მინიმუმ 7.000 დელეგატი), რომლის მოწვევის წესი ჩვენ მიერ უკვე შემუშავდა და წარედგინა პარტიის პოლიტსაბჭოს. ასეთმა ყრილობამ მექანიკურად კი არ უნდა აირჩიოს მმართველი ორგანოების ახალი შემადგენლობა, არამედ უნდა გამართოს დისკუსია იმის შესახებ, თუ რა უნდა შევცვალოთ, რომ დავამარცხოთ რუსი ოლიგარქი, — ნათქვამია განცხადებაში.

მისი ავტორები თვლიან, რომ ახალი თავმჯდომარის არჩევა იქნება დეკლარაცია, რომ ნაციონალური მოძრაობა თავს აღარ მიიჩნევს რეპრესირებულ პარტიად და რომ პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები აღარ წარმოადგენენ დაპირისპირების საგანს ოლიგარქთან.

— ეს იქნება დეკლარაცია, რომ პარტია ემიჯნება მიხეილ სააკაშვილს, რაც აუნაზღაურებელ ელექტორალურ ზიანს მიაყენებს ჩვენს ბრძოლას. ამ ნაბიჯის სასარგებლოდ არ არსებობს არცერთი პრაგმატული არგუმენტი. პარტიიდან მისი დამფუძნებლისა და მთავარი საარჩევნო კაპიტალის მიხეილ სააკაშვილის დისტანცირების მცდელობა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია, — ვკითხულობთ საგანგებო განცხადებაში.

ამ განცხადებაში ერთი წლის წინ პოლიტსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც არის მოხსენიებული, სადაც მითითებულია, რომ სანამ სააკაშვილი დევნილობაშია, პარტიის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური იქნება.

განცხადებას ხელს ზაზა ბიბილაშვილი, ლევან ვარშალომიძე, ლევან ბეჟაშვილი, ნინო კალანდაძე, აკაკი მინაშვილი, ხათუნა ოჩიაური, ზურაბ მელიქიშვილი, ეკატერინე ხერხეულიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, ნუგზარ წიკლაური, პაატა ლეჟავა, კახა ბუცხრიკიძე, ირაკლი ქავთარაძე, ირაკლი ნადირაძე, გიორგი კარბელაშვილი, ომარ მეგრელიძე, გიორგი პატარაია, გოჩა კუპრავა, კობა ხაბაზი, გოჩა ლემონჯავა, მარიამ საჯაია და კობა სუბელიანი აწერენ.

ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, ახალი თავმჯდომარის არჩევის პრაგმატული საჭიროება არ დგას, ვინაიდან ახალ თავმჯდომარეს, წესდებით, არ აქვს არანაირი აღმასრულებელი ფუნქცია.

— შესაბამისად, ეს არის მხოლოდ ცერემონიული პოსტი, რომელსაც აქვს სიმბოლური დატვირთვა. თუ ჩვენ ამ სიმბოლური პოსტიდან, რომელიც დღეს ვაკანტურია, რეალურად გავაძევებთ სააკაშვილის ფიგურას და დავნიშნავთ ან ავირჩევთ ახალ ადამიანს ამ თანამდებობაზე, ეს იქნება ივანიშვილის მიერ თავს მოხვეული თამაშის წესების მიღება და აღიარება. ამას ჩვენ არ ვეთანხმებით, მით უმეტეს, რომ ამის პრაქტიკული საჭიროება არ დგას, — აღნიშნა ბიბილაშვილმა.

პარტიის ერთ-ერთ ლიდერ ხათუნა გოგორიშვილს საწინააღმდეგო არ აქვს, თუ ყრილობა მრავალრიცხოვანი იქნება, თუმცა 7.000 კაცი მაინც ბევრად ეჩვენება. მისთვის 2.000-იანი ყრილობა უფრო მისაღებია.

— თუ ეს არის ყრილობა, რომელზეც კონკრეტული შედეგები უნდა იყოს მიღებული, კონკრეტული გადაწყვეტილებები პარტიის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება კენჭისყრა. გაცილებით ეფექტური იქნება, 2 ათასზე ოდნავ მეტი დელეგატის რაოდენობა. გადაწყვეტილების მიღება ასე გაადვილდება, — განაცხადა გოგორიშვილმა მედიასთან საუბარში.

ვისი პოზიცია გაიმარჯვებს ნაცმოძრაობაში, ამის გარკვევა ჯერ ძალიან ძნელია, რადგან პარტიაში ჯერ ბოლომდე ყველაფერი გარკვეული არ არის. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, დღის წესრიგში პარტიიდან ვიღაცების გარიცხვის საკითხიც კი დადგეს.

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ატესტატებისა და დიპლომების დამზადება-გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83


სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ატესტატებისა და დიპლომების დამზადება-გასაღების ფაქტზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ვახტანგისის ადმინისტრაციულ ერთეულში ეთერ კ., დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის“ დირექტორი დავით ჩ. და ორი მოქალაქე: ფატიმა ჭ. და ზურაბ გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის“ დირექტორმა და ერთ-ერთმა მოქალაქემ გასაღების მიზნით დაამზადეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტის ყალბი დიპლომები, რომლებიც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გარკვეული თანხის სანაცვლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ვახტანგისის ადმინისტრაციულ ერთეულში ეთერ კ-სა და მის თანამზრახველზე გაასაღეს.

თავის მხრივ, აღნიშნულმა პირებმა ყალბი დიპლომებიდან ორი ეგზემპლარის სანაცვლოდ მოქალაქეს მოსთხოვეს და გამოართვეს 3.500 აშშ დოლარი, რა დროსაც ისინი ბრალდებულების სახით დააკავეს. ყალბი დიპლომები და გადაცემული თანხის ნაწილი 1.500 აშშ დოლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით იკვეთება, რომ დანაშაულებრივი ჯგუფი ზემოხსენებული პირების შემადგენლობით ამზადებდა და ასაღებდა ყალბ დიპლომებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს სხვა მოქალაქეებისთვისაც, რომელთა ვინაობა დგინდება.

გამოძიება ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 წლამდე). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.



# 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხები ლარში გადავა

## არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით



## ონლაინსესხების გაცემა აიკრძალება

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერმა კვირიკაშვილმა ბევრისთვის მოულოდნელი და სკანდალური განცხადება გააკეთა.

— ონლაინსესხების გაცემა აიკრძალება, — განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, მთავრობა ეროვნულ ბანკთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის პაკეტს ამზადებს, რომლის მიხედვითაც აიკრძალება ონლაინსესხების გაცემა.

— ეს ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ჩვენი საზოგადოების მხრიდან, — აღნიშნა განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, მთავრობა ადმინისტრაციულ ხარჯებს 10%-ით ამცირებს.

— ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების უმრავლესობაში 10%-ით შევამცირეთ შრომის ანაზღაურების ფონდი. ასევე, 10%-ით შევამცირეთ ადმინისტრაციული ხარჯები, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ლარის პრობლემებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა ლარიზაციის გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ნაბიჯები.

კვირიკაშვილის აზრით, ლარის გრძელვადიანი რესურსის ხელმისაწვდომობა რეფორმის ქვაკუთხედია.

— ამავე გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით. 1 კლიენტზე 1 ბანკში 100 ათას ლარამდე ნარჩენი თანხის სუბსიდია, გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში, — განაცხადა პრემიერმა.

მაგალითად, თუ კურსია 2,5, მოხდება ლარში კონვერტაცია კურსით 2,3. ამ სესხებზე გაუქმდება წინასწარ დაფარვის საკომისიო. ბანკები ვალდებული იქნებიან, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღეში შეტყობინება გაუგზავნონ ყველა კლიენტს, ვისაც ეს გადაწყვეტილება პოტენციურად შეეხება,

— ეს საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე. 400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, რომლებიც არსებული სესხის გამო ყიდულობდნენ დოლარს, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, მცირე ზომის სესხები 100 ათას ლარამდე 2017 წლის პირველი იანვრიდან მხოლოდ ლარში გაიცემა. 2018 წლიდან კი სესხის ზედა ზღვარი 200 ათასამდე გაიზრდება.

ამ ნაბიჯით მთავრობა დაეხმარება ყველა დაზარალებულ ჯგუფს. ამასთან, მომზადდება რეკლამის შესახებ კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება აუცილებელი იქნება ლარით. თუმცა, ეს რეგულაცია არ გულისხმობს სხვა ვალუტის ფასის გამოცხადების აკრძალვას.

— მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ ბინის ფასი უნდა გამოაცხადოს ლარით. სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, მიუთითოს ფასი ნებისმიერი სხვა ვალუტით. შედეგად, შემცირდება ჩვენი მოსახლეობის და ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება უცხოურ ვალუტაზე, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

## თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზი გაიზრდება

* * *

პრემიერმა თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის გაზრდა დააანონსა.

— პირველი იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზრდება. თამბაქოს ფასი ერთ-ერთი დაბალია საქართველოში. თამბაქოს პროდუქციისადმი სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და აქციზის გადასახადის ზრდა ამის გამოძახილი იქნება. ამასთანავე ვგეგმავთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარების კონტროლის გააქტიურებას, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

აქციზის განაკვეთი გაიზრდება იმპორტირებულ ავტომობილებზე, თუმცა ის რეგიონის ქვეყნებში არსებულ განაკვეთებზე რამდენჯერმე დაბალი იქნება.

აქციზის გადასახადის მატება შეეხება ნავთობპროდუქტებსაც.

— მოგეხსენებათ, ნავთობპროდუქტების მოხმარება ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს, რაც უარყოფითად აისახება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე — ართულებს დიდ ქალაქებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, ამძიმებს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას, — განაცხადა პრემიერმა.

მისი აზრით, მიღებული გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ავტოპარკის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განახლებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შემცირებას.

— ამ მხრივ საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა — ჯერ განახევრდა, ახლა კი 60%-ით მცირდება აქციზის გადასახადი ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტზე. ელექტრომანქანების იმპორტი კი საერთოდ არ იბეგრება. ამასთანავე საქართველოში წლიდან წლამდე, შემცირების ნაცვლად, ავტომობილების რაოდენობა და შესაბამისად, ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტის მოცულობა იზრდება, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

**ბიპიენი**

# ონლაინსესხების კომპანიები პრემიერის ინიციატივას ანტიკონსტიტუციურს უწოდებენ

ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებში პრემიერის ინიციატივას ონლაინსესხების აკრძალვის შესახებ არაკონსტიტუციური უწოდეს.

კრედიტონ.გე-ს ხელმძღვანელი სანდრო ლომაძე აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება და ინიციატივა, რომელიც ონლაინსესხების აკრძალვას გულისხმობს, არაკონსტიტუციურია. ლომაძის განმარტებით, აკრძალვა ფართო ცნებაა და მისი სრულად გაუქმება ვერ მოხდება.

— მოდით, მაშინ ავკრძალოთ ღვინის გაყიდვა, ინტერნეტში ვაჭრობა, პურის გაყიდვა. რას ნიშნავს აკრძალვა? შეიძლება გარკვეული ტიპის რეგულაციები დააწესო, შეზღუდო, მაგრამ სრულად აკრძალვა არ მესმის. მსოფლიოს 7 ქვეყანაში ვოპერირებთ და ონლაინსესხების გაცემა არსად არის აკრძალული, — ცხადებს ლომაძე.




მანიმენის დირექტორი შოთა კეკელია ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

— მსგავსი ინფორმაცია ჩვენთვის არავის უცნობებია და თქვენგან პირველად მესმის. რა თქმა უნდა, შეხვედრებს გავმართავთ შესაბამის ორგანოსთან და შევეცდებით გავარკვიოთ, რა ვითარებაა ამჟამად. უნდა გავარკვიოთ ყველაფერი. ეს ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, — განუცხადა „კომერსანტს“ კეკელიამ.

* * *

ონლაინსესხებზე განცხადება ორიოდე დღის წინ უმრავლესობის დეპუტატმა ბექა ოდიშარიამაც გააკეთა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების ძირეული რეგულაცია.

სპეციალისტების ნაწილი აცხადებს, რომ ონლაინსესხების კომპანიების რაოდენობა ყოველდღიურად აგრესიულად იზრდება და დღეს რეალურად უცნობია, რა რაოდენობის ასეთი ორგანიზაცია ფუნქციონირებს ქვეყანაში. მოქალაქეების ნაწილმა ონლაინსესხების კომპანიების საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნით სპეციალური პეტიციაც შეიმუშავა, რომელიც სოციალურ ქსელებში პერიოდულად ვრცელდება.

ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციაა ქვეყანაში, უცნობია. ამის შესახებ მონაცემები არც სამეწარმეო რეესტრში მოიპოვება. მონაცემები არ აქვთ ონლაინსესხების კომპანიების ასოციაციაშიც.

— იმის შესახებ, თუ რამდენი ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციაა უცნობია, ამაზე მონაცემები არ არსებობს, — უთხრეს „კომერსანტს“ ასოციაციაში, სადაც მხოლოდ 10 ბიზნესსუბიექტია გაერთიანებული.

**კომერსანტი.გე**

# ფინანსთა მინისტრმა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები წარადგინა



პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები წარადგინა.

ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცეს, ქუმსიშვილის ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტში დღეს დილით იქნება ხელმისაწვდომი.

— 2017 წელს ჩვენ ვგეგმავთ 4%-იან ზრდას, ამავე დროს, დეფლატორი იქნება 4%. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ჯამში, შეადგენს 12 მილიარდ 600 მილიონს, რაც 1 მილიარდი ლარით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მთლიანი მოცულობა შეადგენს 11 მილიარდ 457 მილიონ ლარს, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები დაგეგმილია 8 მილიარდ 820 მილიონ ლარზე. სხვა შემოსავლები დაგეგმილია 385 მილიონ ლარზე, გრანტები — 284 მილიონ ლარზე.

სახელმწიფო ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კლება, პრივატიზება დაგეგმილია 90 მილიონ ლარზე, ხოლო ფინანსური აქტივების კლება, სესხების დაბრუნება — 85 მილიონ ლარზე.

ვალდებულების ზრდა დაგეგმილია 1 მილიარდ 792 მილიონზე, საიდანაც საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით დაფინანსდება 400 მილიონი, ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოყოფილი კრედიტებით დაფინანსდება 1 მილიარდ 392 მილიონი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ჯამში, შეადგენს 11 მილიარდ 415 მილიონ ლარს, რაც 2016 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელს 1 მილიარდ 270 მილიონი ლარით აღემატება, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, 2016 წელთან შედარებით, იზრდება რამდენიმე სამინისტროს დაფინანსება, რაც იმ პრიორიტეტების ასახვაა, რომლებიც მთავრობას გათვალისწინებული აქვს 4-პუნქტიანი განვითარების გეგმით.

— განათლების სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება 144 მილიონ ლარზე მეტით და შეადგენს 1 მილიარდ 116 მილიონ ლარს; ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 253 მილიონ ლარზე მეტით და შეადგენს 3 მილიარდ 415 მილიონ ლარზე მეტს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება მნიშვნელოვნად, 275 მილიონ ლარზე მეტით და შეადგენს 370 მილიონ ლარს.

ძალიან მნიშვნელოვანი თანხებია ჩადებული ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებით მიწების გამოსყიდვის მიმართულებით, ასევე, 110 მილიონ ლარზე მეტი გათვალისწინებულია მთის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. გარდა ამისა, შემდეგ წელს დაგეგმილი გვაქვს ქუთაისის აეროპორტში ახალი ტერმინალის მშენებლობა, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**კომერსანტი.გე**

# „ონლაინსესხების აკრძალვა დადებით შედეგს არ გამოიღებს“



— ონლაინსესხები არსებობს იმისთვის, რომ ზოგადად ბაზარზე მსგავსი ტიპის სესხებზე მოთხოვნაა. შესაბამისად, აკრძალვის მიუხედავად, მსგავსი საკრედიტო პროდუქტი მაინც გაჩნდება.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელმა გიორგი კეპულაძემ ბიზნესპრესნიუსს განუცხადა.

— გასაგებია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ონლაინსესხების კომპანიები არ იქცეოდნენ სწორად, მაგალითად, მაშინ, როდესაც სესხებს გადახდისუუნარო მომხმარებლებზე გასცემდნენ, ჰქონდათ მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მაგრამ ეს იყო რისკიანი სესხები, — განაცხადა გიორგი კეპულაძემ.

მისი აზრით, აკრძალვა, საბოლოო ჯამში, დადებით შედეგებს ვერ გამოიღებს.

— გასაგებია, რომ ვიღაცები ვეღარ აიღებენ ასეთი ტიპის სესხებს და მეტად არ დაზარალდებიან, თუმცა ეს ადამიანები შემდეგ ლომბარდებსა და კერძო მევახშეებს მიმართავენ. შესაბამისად, ბაზარი ამას დაარეგულირებს და არ მგონია, რომ აკრძალვა გამოსავალი იყოს, — აღნიშნა გიორგი კეპულაძემ.

მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა, რაღაც რეგულაცია დაწესებულიყო, მაგალითად, არ გაეცათ სესხები ისეთ მომხმარებლებზე, რომლებიც ნეგატიურ ბაზაში არიან, ვერ გადაიხდიან სესხს ან კომპანიებისთვის საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი დაეწესებინათ.

— ეს მაინც მთავრობისა და ეროვნული ბანკის გადასაწყვეტია. დაველოდოთ, ვნახოთ, როგორ შედეგებს მივიღებთ. აკრძალვა არ ნიშნავს იმას, რომ ეს მომხმარებლები გაქრებიან და მათ აღარ მოუნდებათ ასეთი ტიპის სესხის აღება და აუცილებლად გაჩნდება ვიღაც, ვინც მათ ასეთი ტიპის სესხებს მისცემს, შეიძლება, უფრო მძიმე და ცუდი პირობებითაც კი, — განაცხადა კეპულაძემ.

**ბიპიენი**

# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

# პაატა შეშელიძე: „ეროვნულმა ბანკმა ლარის მასა უნდა შეამციროს“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე აფასებს.**



## „მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ვალების დაგროვება“

***– ბატონო პაატა, ლარმა ყველა დროის რეკორდი მოხსნა. ფასებმა იმატა ყოველდღიური მოხმარების საგნებზე. საზოგადოება შოკშია, ამ ფონზე კი გამოდის ფინანსთა მინისტრი და აცხადებს, რომ ჩვენი საზოგადოება გაუნათლებელია, მათ არ ჰყოფნით განათლება საიმისოდ, რომ სესხი ლარში აიღონ. დაგვცინის ახალი მთავრობა?***

– როგორც მახსოვს, თვითონ ამ მინისტრის დეკლარაციაში ყველა მისი ანაბარი უცხოურ ვალუტაში იყო განთავსებული. მაშინ ჯერ თვითგანათლებით დაიწყოს და მერე გაანათლოს საზოგადოება. პირიქით ხდება, მე მგონი, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ესმის, რომ საკმაოდ არაკომპეტენტური მთავრობა ჰყავს და თავს იზღვევს იმით, რომ თავის სესხებსა და ანგარიშებს დოლარში განათავსებს.

***– რატომ სჭირდებათ უცხოურ ვალუტაში სესხის აღება?***

– ეს კიდევ მეორე საკითხია, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ, რისი შეძენაც მათ სურთ, სწორედ ამ ვალუტაში იყიდება, ხოლო რა მოუვა ლარს, ბევრმა არ იცის. რა თქმა უნდა, ეს წინააღმდეგობას ქმნის. ერთი მხრივ, გინდა გჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მეორე მხრივ კი ამის საშუალებას არ იძლევა არაფერი. არავის კრიტიკა არ მჭირდება, უბრალოდ, საჭიროა გამოსავლის ძიება.

***– სად არის ეს გამოსავალი?***

– გამოსავალი არის ძალიან მარტივი. პრობლემა შექმნილია ეროვნული ბანკისა და მთავრობის არაკომპეტენტურობით და სწორედ ამის გამოსწორებით უნდა დაიწყოს.

***– პიროვნულ ცვლილებებს გულისხმობთ?***

– პიროვნული ცვლილებები იქნება ძალიან რთული და ამას არავინ გააკეთებს. ამის გაკეთება ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ხარაკირი გაიკეთოს „ქართულმა ოცნებამ“. ბევრად უფრო ადვილი და ნაკლებად მტკივნეული იქნება, თუ ისინი არსებულ პოლიტიკას შეცვლიან.

***– როგორი უნდა იყოს ეს ახალი და სწორი კურსი?***

– საჭიროა, ეროვნულმა ბანკმა დაუყოვნებლივ შეამციროს ნებისმიერი ფორმით ფულის მასის ზრდა, მათ შორის, რეფინანსირების კრედიტი უნდა შეზღუდოს, ასევე უნდა გაათანაბროს რეზერვების განაკვეთები ლარსა და უცხოურ ვალუტაზე და უნდა განაცხადოს, რომ ის არის მზად, საჭიროების შემთხვევაში, არ დაუშვას ლარის კურსის შემდგომი გაუფასურება რეზერვების გამოყენების ხარჯზე. აქ არის მთავრობის მხრიდან შესასრულებელი პირობებიც.

***– კონკრეტულად რა პირობებზეა საუბარი?***

– მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ვალების დაგროვება, მორატორიუმი უნდა გამოაცხადონ ვალების დაგროვებაზე, ანუ აღარ აიღონ ვალი, არც შიდა და არც გარე, უნდა შეწყვიტონ მიმდინარე სუბსიდიებისა და სხვა მსგავსი პროგრამები, რომლებიც გულისხმობს არასაბაზრო ინსტიტუტების დაფინანსებას. იმიტომ, რომ სუბსიდია სჭირდება ისეთ ორგანიზაციას, რომელიც თავს ვერ ართმევს დაკისრებულ ამოცანებს. ასევე უნდა შეჩერდეს ყველა ის პროგრამა, რომლებიც სხვისი შემოსავლების გადანაწილებას გულისხმობს. მკვეთრად უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები. სამწუხაროდ, მათ პირველი ხარვეზი უკვე დაუშვეს.

***– რა კუთხით?***

– ძალიან დიდი მთავრობა აირჩიეს. ვფიქრობდი, რომ შეამცირებდნენ და არაფერიც არ შეამცირეს. ასევე დღესვე უნდა დაიწყონ აქტიური პრივატიზება, განსაკუთრებით – სასოფლო-სამეურნეო მიწების, რომ ლარზე რამის შესყიდვის საშუალება გაჩნდეს, ანუ ლარს უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფა რეალური დოვლათით, რომელიც ქვეყანაშია. ეს არის მინიმუმი პაკეტი, რაც დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს.

***– სერიოზული პრობლემა აქვთ ეკონომიკურ გუნდში. გვესმის შეფასებები, რომ ჰეჯირება ლარზე მეტად მთავრობას სჭირდება. ასეა?***

– ამ სიტუაციაში მთავრობას ყველაზე უფრო გადაყენება მოუხდება თავისი პრემიერიანად, რადგან ღრმად არაკომპეტენტურობას იჩენს. იმაშიც ვერ ჩამოყალიბდნენ, დევალვაციაა თუ გაუფასურება.

***– ანუ არაკომპეტენტურები არიან?***

– მე მგონია, რომ მიზანმიმართული პროცესი იყო და გრძელდება ეს მიზანმიმართული პროცესი, მაგრამ იგი შენიღბულია რაღაც განცხადებებით.

***– ვის სჭირდება ან რით გამოიხატება მიზანმიმართულობა?***

– ვიღაცა ამით ხელს ითბობს! აბა, როგორ წარმოვიდგინო, რომ ეს ხალხი ასე ერთიანად გამოშტერდა. თითქოს ყველას ეკონომიკურ განათლება აქვს, ყველა ჩახედულია სფეროში და ამ ყველაფერზე ასე ბრმად რეაგირებს და ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა, რაღაც ფაქტორებია და ათასი სისულელე, სინამდვილეს კი არავინ ამბობს. ხადურს ეკონომიკური განათლება აქვს, კვირიკაშვილსაც, ქუმსიშვილსაც, გახარიასაც. ვინც ამ საქმეშია, ყველა ეკონომიკური განათლებითაა. ე.ი. რაღაცას მალავენ.

***– კუპონიზაციისკენ ხომ არ მივდივართ?***

– ვიღაცა უკვე მისულია, ვიღაცას ახლა ელოდება. ადამიანები, რომლებიც ალღოს აუღებენ ამ სიტუაციას და გამოძვრებიან, გადარჩებიან. ყველა ვერ აუღებს ალღოს. არის კონტრაქტები, რომელთა შესრულებაა საჭირო და ამის შესრულება ძალიან რთულია. მაგალითად, გაქვს ბინა ნაყიდი და გასასტუმრებელი გაქვს დოლარში, მაგრამ შემოსავლები გაქვს ლარში და ამას ვერ დაეწევი. 5 წლის წინ დადებული კონტრაქტის შეცვლა ძალიან რთულია.

***– როგორ უნდა დააზღვიონ ასეთმა ადამიანებმა საკუთარი სესხები, როდესაც სთავაზობს მთავრობა ამის გაკეთებას? ზარალზე არ წავლენ ეს ადამიანები?***

– რასაკვირველია, წავლენ. აქ მთავრობის შეცდომაა. მთავრობის შეცდომები ჩვენ როგორ უნდა დავაზღვიოთ?! მოსახლეობის არაკომპეტენტურობაზე საუბარი სრული სისულელეა. დღეში სამ-ოთხ ინტერვიუს ვიძლევი და არაკომპეტენტური ჟურნალისტი, სულელური კითხვა რომ დაესვას, არ შემხვედრია. ყველა საღად აფასებს მოვლენებს და იცის მოსახლეობის განწყობა. აქედან გამომდინარე, როგორ წარმოვიდგინო, რომ დანარჩენი ხალხი არის ისეთი ბნელი, რომ არ ესმის, რას აკეთებს?! სინამდვილეში პირიქით არის.

***– მთავრობაა ბნელი?***

– აქ სულ სხვა პროცესი მიდის, რომელიც არ ჩანს და ესენი ცდილობენ, ხელი მოსახლეობას შეახოცონ. ელემენტარულ კითხვას ვსვამ – ჩვენ რატომ არ შევისწავლეთ კუპონის გაუფასურების პროცესი და ის, თუ ვინ იხეირა იმ საქმით? რატომ გვგონია, რომ ის ადამიანები დღესაც არ არიან იქ, სადაც არიან?!

***– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?***

– მაგალითად, ნოდარ ჯავახიშვილი. მაშინაც იყო და დღესაც არის. იმ დროს, გაუფასურების დროს ის იყო პასუხისმგებელი და ახლაც ახლოს არის მთავრობასთან. აქამდე მინისტრი იყო და, როგორც ვიცი, ახლა კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ნიშნავენ. და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც იმ პროცესების უშუალო მონაწილენი იყვნენ! ამ ხალხმა ზუსტად იცის, ფული სად მიდიოდა და რატომ მიდიოდა! რატომ არ შეიძლება, რომ იმავე ადამიანებმა ასევე ბოროტად გამოიყენონ ახალი ვითარება?! ვინ არის ის, ვინც დღეს ამით ხეირობს?!

***– მაინც ვინ არის?***

– აქ არის ვიწრო შეკრული წრე, რომელსაც არაფრის შეცვლა არ უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ათასი შენიშვნა და კრიტიკაა. ეს არის პოლიტიკის ხარვეზი და რატომ არ უნდათ ამ პოლიტიკის გამოსწორება. ეს არის საიდუმლო, რომელიც უნდა გაიხსნას!

არის სერიოზული ფულადი დაინტერესება. ამით ვიღაც ძალიან სერიოზულ შემოსავალს იღებს. თუ ვინ იღებს, ეს არის დასადგენი. მაგალითად, ისლანდიაში 2008 წლის კრიზისი მნიშვნელოვანწილად დაბრალდათ ბანკირებს და 26 ბანკირი დაიჭირეს.

***– საით მიანიშნებთ, რომ ჩვენთანაც ბანკირების ბრალია?***

– მე არ ვიცი, ამხელა მასშტაბია თუ არა აქ, მაგრამ ფაქტია, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს ეს ამბავი! რადგან მთავრობის მხრიდან არ ჩანს, რომ ამ ამბით დაინტერესებული იყოს, რაღაც შიგნით ხდება და საკუთარ თავს ხომ არ დაიჭერენ! ცვლილებების გარეშე ეს არ გამოაშკარავდება. არადა, არჩევნები ახლახან იყო და სინამდვილეში იმაზე რთულ სიტუაციაში ვართ, ვიდრე წარმოგვიდგენია!

არცერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც პარლამენტში მოხვდნენ, აზრზე არ არის, რაზე ლაპარაკობს. ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ოპოზიციაა და რომელსაც, შესაძლებელი იყო, განსხვავებული აზრი ეთქვა, ისიც კი არ ამბობს, მხარს უჭერდა ქადაგიძის პოლიტიკას, რომელიც დღესაც გრძელდება! ქადაგიძე და გვენეტაძე ზუსტად ერთსა და იმავეს აკეთებენ ერთი ერთში, ყველაფერს აკეთებენ მთავრობის ოცნებების შესასრულებლად!

***– მთავრობის ინიციატივა, რომ სესხები გაიცეს ლარში, არ გააძვირებს ლარში სესხის აღებას?***

– ყველას უნდა ესმოდეს, რომ ადამიანები იყენებენ იმ ვალუტას, რომელიც სჭირდებათ. ლარში აიღებენ და მერე გადაახურდავებენ დოლარში, რადგან, რისი ყიდვაც მათ სურთ, ის დოლარში იყიდება. მსგავსი შეზღუდვები აბსურდია! მაშინ უნდა დაავალდებულო ყველა, რომ ბინები, მანქანები – ყველაფერი ლარში გაიყიდოს. თოფითაც რომ დაადგე, ვერ დაავალდებულებ, რომ იმ კურსით გაყიდოს, რომელიც დღეს არის. მოუმატებენ და, პირიქით, გაძვირდება.

ჩვენ ლარი კი არ გვჭირდება, ლარით რაც უნდა ვიყიდოთ, ის გვჭირდება. ჩვენ ლარსა და დოლარს კი არ ვჭამთ, ვჭამთ და მოვიხმართ იმას, რაც იყიდება ამ დოლარსა და ლარზე! თუ ვერაფერი ვიყიდე ლარზე, ვერც სახლი, ვერც მანქანა, მაშინ რა აზრი აქვს, სესხის აღებას ლარში რომ მაძალებ?! მსგავსი რაღაცის მოფიქრება სრული უგუნურობაა.



# ვიქტორ დოლიძე: „ვიზალიბერალიზაციის საკითხი მოკლე ხანში გადაწყდება“

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე იმედოვნებს, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი ძალიან მოკლე ხანში გადაწყდება.

როგორც დოლიძემ განაცხადა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიემგზავრება ბრიუსელში, სადაც შეხვედრებს გამართავს როგორც ევროკომისიაში, ისე პარლამენტში.

– მე იმედი მაქვს, რომ ძალიან მოკლე ხანში გადაწყდება ვიზალიბერალიზაციის თემა. მთავარია, რომ საქართველოს შესრულებული აქვს უკლებლივ ყველა ვალდებულება. ახლა ბურთი არის ევროკავშირის მოედანზე, სადაც ჩვენ ევროკომისიასა და ევროპარლამენტს შორის ველოდებით საბოლოო შეთანხმებას შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმზე დეკემბრის განმავლობაში ვერ თანხმდებიან, კონკრეტულ თარიღად 18 იანვარი გამოაცხადეს. არ არის ცუდი. ვადებზე საუბარი არ მინდა, მაგრამ პრაქტიკულად მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და დარჩენილია პროცედურები ბრიუსელში. იმედი მაქვს, რომ საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები ძალიან მალე დაიწყებენ უვიზოდ მიმოსვლას შენგენის ზონაში, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# დონალდ ტრამპი გენერალ პეტრეუსს შეხვდა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გენერალ დევიდ პეტრეუსს შეხვდა. საუბარმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა.

პეტრეუსი განიხილება, როგორც ერთ-ერთი კანდიდატურა სახელმწიფო მდივნის პოსტზე.

გენერალი პეტრეუსი ავღანეთში ამერიკული არმიის სარდალი იყო, შემდეგ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ჩაუდგა სათავეში. პეტრეუსის ამ პოსტიდან გადადგომას წინ სკანდალი უძღოდა. მან საიდუმლო ინფორმაცია გაუმხილა ჟურნალისტ ქალს, რომელიც მის შესახებ წიგნს წერდა. ქალი პეტრეუსის საყვარელი იყო.

— გენერალმა ჩემზე ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა, — განუცხადა ჟურნალისტებს ტრამპმა.

პეტრეუსის გარდა, სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე განიხილება მიტ რომნის, რუდოლფ ჯულიანის, ბობ კორკერისა და ჯონ ბოლტონის კანდიდატურები.

ტრამპს საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია.

# უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ბრალად სახელმწიფო ღალატი დასდეს



გრძელდება მაიდანზე სისხლიანი და ტრაგიკული მოვლენების გამოძიება. ონლაინ რეჟიმში დაიკითხა უკრაინის ექსპრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც ახლა რუსეთში ცხოვრობს.

იანუკოვიჩი თვითმფრინავით როსტოვში ჩაიყვანეს, საიდანაც კიევთან ონლაინ რეჟიმით დაკავშირება მოხდა.

იანუკოვიჩი შეეცადა, დაკითხვა პიარაქციად გადაექცია. მან განაცხადა, რომ მაიდანზე ხალხის დახვრეტის ბრძანება არ გაუცია.

— მე არ მსურდა სისხლისღვრა. ახლაც რომ წარსული განმეორდეს, ისევე მოვიქცეოდი და სისხლისღვრაზე არ წავიდოდი, — განაცხადა მან.

ბრალდების მხარემ ეს უმალ გააბათილა. წარმოდგენილ იქნა დოკუმენტები, რაც ამტკიცებს, რომ იანუკოვიჩმა არათუ ხალხის დახვრეტის ბრძანება გასცა, არამედ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს უკრაინაში ჯარის შეყვანაც სთხოვა.

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ლუცენკომ იანუკოვიჩი სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა.

# კანადამ რუსეთის 16 მოქალაქის მიმართ სანქციები შემოიღო

კანადამ რუსეთის 16 მოქალაქის მიმართ სანქციები შემოიღო. ყველა მათგანი ანექსირებული ყირიმიდან აირჩიეს დუმაში.

— ესაა პასუხი ყირიმის ანექსიაზე, — ნათქვამია კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# პუტინი ფიდელ კასტროს დაკრძალვაზე არ გაემგზავრება



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ფიდელ კასტროს დაკრძალვაზე არ გაემგზავრება.

პუტინის პრესმდივანი პესკოვი აცხადებს, რომ პუტინს გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა. ის ფედერალური კრებისადმი მიმართვას ამზადებს.

— ამიტომაც ის კუბაზე გამგზავრებას ვერ შეძლებს, — ამბობს პესკოვი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ასტროპროგნოზი 30 ნოემბრისათვის



**ვერძი** — სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებასა და სულიერ სრულყოფას. შესაძლოა, გარშემომყოფებმა იმედი გაგიცრუონ. **კურო** — მიიღეთ მხოლოდ ჯანსაღი საკვები, დაკავდით სპორტით. ყურადღება გაამახვილეთ სულიერ სიმშვიდეზე. **ტყუპები** — ჯანმრთელობის მხრივ მცირეოდენი პრობლემებია მოსალოდნელი, სავარაუდოდ, მსუბუქი გაციება. დარჩით სახლში და გამოშუშდით. **კირჩხიბი** — ნუ მიირთმევთ უხარისხო საკვებს. თქვენს რაციონში ხილი და ბოსტნეული უნდა ჭარბობდეს. **ლომი** — სამსახურში უფროსობასთან პატარა კონფლიქტი გელით. იყავით კეთილგონიერი და სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ. **სასწორი** — კრიტიკული დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ. **ღრიანკალი** — ახლობლებთან და მეგობრებთან კავშირი განაახლეთ. შორსმიმავალ გეგმებს ნუ დაისახავთ. **მშვილდოსანი** — პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. რისკი გამართლებულია. ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **თხის რქა** — ილუზიებს არ აჰყვეთ. რეალობა საღად შეაფასეთ. უსარგებლო ფიქრებით გონებას ნუ გადაიტვირთავთ. **მერწყული** — აქტიურობა საჭირო არ არის. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. მთავარია, სულიერად მშვიდად იყოთ. **თევზები** — კეთილისმყოფელი დღეა. შესაფერისი პერიოდია ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ძაღლი თავის პატრონს საავადმყოფოს კართან უცდიდა



ლონდონის ჰაროუს რაიონში ძაღლი საავადმყოფოს შესასვლელ კართან უცდიდა თავისი პატრონის სამედიცინო დაწესებულებიდან გამოწერას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველის პატრონი მასთან ერთად სეირნობის დროს ცუდად გახდა. როდესაც ძაღლის პატრონი, რომლის სახელიც მითითებული არ არის, სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს, მისი ძაღლიც, რომელიც პატრონს არ შორდებოდა, შეუშვეს ავტომობილში.

სანამ პატრონს სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, ძაღლი საავადმყოფოს ნორტუიკ პარკის კართან იჯდა. სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებმა ძაღლი თბილი პლედით უზრუნველყვეს და წყლით და საკვებით ამარაგებდნენ. რამდენ ხანს მოუწია ძაღლს საავადმყოფოს კართან ლოდინი, უცნობია, მაგრამ, როდესაც მამაკაცი გამოწერეს, ის კართან შეეგება თავის პატრონს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**წვერსაპარსი PHILIPS 70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158

# განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სამგლოვიარო განცხადებები

დედა ეთერი, მეუღლე მაია, შვილები ირაკლი, ნიკუშა, ძმები მურმანი, მამუკა, მერაბი ოჯახებით იუწყებიან

**მალხაზ ზიზილაშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 29, 30 ნოემბერს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 1 დეკემბერს, 13 საათზე;
მისამართი: ზესტაფონი, ფიროსმანის II შესახვევი 20.

ზაირა გაფრინდაშვილის ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს

**მალხაზ ზიზილაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



შპს „ახალი საქალაქმშენპროექტის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი, ქართული საინჟინრო გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კეთილშობილი და ღირსეული პიროვნება

**სოსო სირაძე**

პანაშვიდი: 29, 30 ნოემბერს;
გამოსვენება: 1 დეკემბერს, ნუცუბიძის III მიკრორაიონის „ხარების“ ეკლესიიდან.



მეუღლე ლიანა ჭითანავა, შვილები შორენა და მედეა შურღაიები, სიძე დავით აბესაძე, შვილიშვილები თეკლა და ბარბარე აბესაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის წევრი, პოლიტპატიმარი, დისიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერი, საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შემქმნელი და პირველი თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საგანგებო რწმუნებული, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე

**ვალტერ შურღაია**

გამოსვენება: შაბათს, 3 დეკემბერს, 15 საათზე, მუხიანის წმიდა მეფე მირიანისა და ნანას სახელობის ტაძრიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბრაზილიური საფეხბურთო გუნდი ავიაკატასტროფაში მოხვდა



გუშინ დილით თვითმფრინავმა, რომელშიც ბრაზილიური საფეხბურთო კლუბის შაპეკოენსის ფეხბურთელებიც იმყოფებოდნენ, კატასტროფა განიცადა.

თვითმფრინავი მედელინისკენ მიფრინავდა. მასში საფეხბურთო კლუბთან ერთად სხვა მგზავრები და ეკიპაჟის 9 წევრი იყვნენ, სულ 72 ადამიანი. კატასტროფის მიზეზად საწვავის ნაკლებობა სახელდება.

შაპეკოენსეს მედელინში ადგილობრივ ატლეტიკო ნასიონალთან სამხრეთ ამერიკის თასის ფინალურ თამაშში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

კოლუმბიის ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილის აეროპორტების ოპერატორის ინფორმაციით, მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად 6 ადამიანი გადარჩა.

# ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა ზედიზედ მე-12 მოიგეს

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა ზედიზედ მე-12 გამარჯვება მიითვალეს. მეომრებმა ეს ოკლენდში გვარიან ბრძოლაში მოახერხეს.

კალიფორნიას ფაჩულიას ყოფილი გუნდი ატლანტა ესტუმრა, რომელმაც ზაზას მერე კიდევ ერთი რიგიანი ცენტრი ალ ჰორფორდიც გაუშვა, მაგრამ ამ სეზონის წინ ჰიუსტონიდან ნბა-ს ყველაზე მასიური და სახელიანი ცენტრი დუაიტ ჰოვარდი წამოიყვანა. სწორედ ჰოვარდისა და სხვა ყოჩაღი ატლანტელების მეოხებით ოკლენდელებმა გვარიანად ინერვიულეს.

თამაში თანაბარი იყო. მასპინძლებმა ვერ გატეხეს ატლანტა, რომელსაც მარჯვედ მიუძღოდა სანაკრებო დონეზე ფაჩულიას მომავალი მეტოქე – გერმანელი დენის შროდერი. გოლდენ სტეიტი მესამე პერიოდის უმეტესობას აგებდა, ხოლო ბოლო პერიოდი ოკლენდელებმა ერთქულიანი ჩამორჩენით დაიწყეს.

გადამწყვეტ 12-წუთეულში გოლდენ სტეიტის ლიდერების კევინ დურანტისა და სტეფ კარის ქულებით მასპინძლებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვება მოახერხეს, რაც გუნდური და დრეიმონდ გრინის გონივრული თამაშით ბოლომდე შეინარჩუნეს.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ატლანტელი სუპერმენი ხანგრძლივად იმყოფებოდა თამაშში, ქართველი ცენტრი მოედანზე 16 წუთით გამოჩნდა. იმ დროში, რაც პარკეტზე იყო, ზაზამ 2-დან ორივე ორიანი ჩააგდო და 4 ქულას 6 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მოაყოლა.

ამ მოგებით ოკლენდელებმა დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობა გაიმყარეს და ახლა 16 მოგების წილ 2 მარცხი გააჩნიათ.

შემდეგი მატჩი ფაჩულიას გუნდს ისევ შინ ჰიუსტონთან ელის.

# ელ კლასიკოს წინ

ბოლო დროს ბარსელონას კრიზისი აქვს – ბოლო 2 ტურში ზედიზედ ვერ მოიგო მალაგასთან და სოსიედადთან. და ეს კრიზისი ზედ ელ კლასიკოს წინ – მორიგ ტურში ხომ ბარსელონა-რეალია...

ბლაუგრანა ელ კლასიკოს სამეფო კლუბთან 6-ქულიანი სხვაობით შეხვდება. ბოლოს ასეთი ჩამორჩენით, კატალონიურმა გრანდმა თავის მტერს „კამპ ნოუზე“ 2003 წელს უმასპინძლა. რეალი კი ბოლოს ბარსელონას 6 ქულით ჯერ კიდევ მოურინიოს ეპოქაში, 2012 წელს უსწრებდა. მაშინ მადრიდელებმა პრიმერა დივიზიონში 100 ქულის მოპოვება შეძლეს და ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

კატალონიელებს ერთი სასიხარულო ამბავი აქვთ – ბარსელონის კაპიტანი ანდრეს ინიესტა ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მე-14 ტურისა და სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩისათვის 100%-ით მზად იქნება.

ბარსას დამრიგებელ ლუის ენრიკეს სურდა, რომ კოპა დელ რეის მატჩში ერკულესის წინააღმდეგ ესპანელი ნახევარმცველისთვის რამდენიმე წუთი მიეცა სათამაშოდ, თუმცა მოგვიანებით ხელმძღვანელობამ შეატყობინა, რომ ინიესტა დისკვალიფიცირებულია.

შესაძლოა, რეალის წინააღმდეგ მატჩი მცველმა ჟორდი ალბამ ტრავმის გამო გამოტოვოს.

ფეხბურთელმა მარჯვენა მუხლის ტრავმა სოსიედადთან მატჩში მიიღო და, დაზიანების მიუხედავად სრულად, ითამაშა.

უფრო დიდი დანაკლისით მოუწევთ მოედანზე გასვლა მადრიდელებს: ზიდანის განკარგულებაში ვერ იქნებიან გარეთ ბეილი, ალვარო მორატა და ტონი კროოსი, ხოლო კაზემიროს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ბრაზილიელი შესაძლებელია განაცხადში კი ვიხილოთ, მაგრამ საწყისი წუთებიდან მისი მოედანზე ყოფნა ნაკლებად მოსალოდნელია.

# თორნიკე ოქრიაშვილი: „მადლობა ზენიტს ამ წუთების განცდისთვის“



რუსული მედიის ამ კვირის თემა თორნიკე ოქრიაშვილი რომ იქნება, ეჭვი არავის ეპარება. ზენიტის კარში გატანილმა ქართველის სუპერგოლმა მთელი რუსეთი აალაპარაკა.

ამჯერად ქართველმა ფეხბურთელმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტთან“ ისაუბრა და კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ზენიტმა ის თავის დროზე არ აიყვანა.

***– თორნიკე, ამ ამბის შემდეგ როგორ გეძინათ?***

– თავიდან მართლა არ მეძინებოდა. მხოლოდ ღამის 3 საათზე შევძელი დაძინება. ეიფორიაში ვიყავი. ყველა მირეკავდა, მილოცავდა. ვფიქრობდი, ეს რა გოლი გავიტანე-მეთქი, თანაც ვის კარში – ზენიტის!

***– იმ მომენტში რთული არა მარტო დარტყმა იყო, არამედ – მიწაზე დაცემაც. რამე ხომ არ იტკინეთ?***

– დაშვება კარგი გამომივიდა, რადგან ასე პირველად არ დავარტყი. ჩვენმა მწვრთნელმა იგორ შალიმოვმა გვითხრა, რომ ასეთ დარტყმებზეც გვევარჯიშა. შესაბამისად, ასე ხშირად ვურტყამდი, აი, გოლი კი პირველად გავიტანე.

***– ჩვენ საუბარი მამათქვენთანაც გვქონდა, რომელმაც გვითხრა, რომ მსგავსი გოლები ბავშვობაში გაგიტანიათ.***

– დიახ, თუმცა დიდი ფეხბურთში აღარ გამომდიოდა.

***– მაგრამ მომენტი კარგად შეარჩიეთ – ტოპმეტოქე, მატჩის დასასრული. საერთოდ, ასეთი დარტყმის დახვეწაზე როგორ უნდა ივარჯიშო?***

– ყოველ კვირა გვაქვს ვარჯიში, სადაც ფეხბურთელები მაღალ ან დაბალ გადაცემებს აკეთებენ. ჩვენ კი ტრაექტორიის მიხედვით ვურტყამთ. „მაკრატელაც“ სრულდება ხოლმე.

***– შეიძლება ითქვას, რომ ეს განსაკუთრებული მატჩი იყო? თქვენ ხომ თამაშობდით იმ ზენიტის წინააღმდეგ, სადაც 2010 წელს სინჯებზე იყავით, მაგრამ არ აგიყვანეს და მირჩა ლუჩესკუს წინააღმდეგ, რომელმაც არ მოგცათ შანსი, თავი დონეცკის შახტარში უკეთესად გამოგევლინათ.***

– რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ასე გამოვიდა. ლუჩესკუ არასდროს მენდობოდა, არ მათამაშებდა. ზენიტშიც 2010-ში მითხრეს, რომ ჯერ ადრე იყო... ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ლუჩესკუს და ზენიტს გავუტანე. სიტყვები არ მყოფნის. ახლაც არ მჯერა. ასეთი რამ ჯერ არ მქონია.

***– თქვენი გოლის დროს არბიტრმა არ დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა, როდესაც კრასნოდარის ფეხბურთელმა ბურთი ფლანგზე მიიღო და შემდეგ საჯარიმოში ჩააწოდა. რას ფიქრობთ ამ ეპიზოდზე?***

– მომენტი ვნახე. დიახ, თამაშგარე იყო. არბიტრი შეცდა, მაგრამ მანამდე იყო ეპიზოდი, როცა გაზინსკის ცხვირი გაუტეხეს. იქ ასპროცენტიანი პენალტი და წითელი ბარათი იყო. მაშინ ზენიტს გაუმართლა, რომ მსაჯმა ის მომენტი ვერ დაინახა. იმავე მსაჯმა შემდეგ უკვე ჩვენი თამაშგარე ვერ შენიშნა.

***– მოკლედ, ათამაშდით.***

– დიახ! ეს რევანში იყო იმ ეპიზოდის გამო. საწყენი იქნებოდა, რომ ასეთი გოლი თამაშგარეს გამო არ ჩათვლილიყო.

***– დაინახეთ, თქვენი დარტყმის შემდეგ როგორ შევიდა ბურთი კარში?***

– დიახ, დავინახე, მაგრამ რა ხდებოდა გოლის შემდეგ 10-15 წამის განმავლობაში, არ მახსოვს. როგორ მივრბოდი, როგორ აღვნიშნავდი... ეს სუპერადრენალინი იყო. ასეთ სიამოვნებას მხოლოდ ფეხბურთისგან თუ მიიღებ.

***– არ გაგახსენდათ ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლი, რომელიც მან ინგლისის ნაკრებს გაუტანა? მართალია, იქ უფრო დიდი მანძილი იყო კარამდე...***

– ინტერნეტში ფოტოც კი ვნახე, სადაც იბრაჰიმოვიჩის ხელმოწერა იყო. ზლატანი მაშინ იქ ურტყამდა, სადაც უნდოდა. მეც ვიყავი საკუთარ თავში დარწმუნებული.

***– შესაძლოა ითქვას, რომ ეს რევანშია და უპასუხეთ ზენიტს, რომელსაც თქვენ არ დასჭირდით?***

– არ მინდა, ასე უხეშად გამომივიდეს. წყენა არავის მიმართ მაქვს. უბრალოდ, რაც ხდება, ყველაფერი კარგისთვის ხდება. ზენიტში რომ დავრჩენილიყავი, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა და არც ეს მომენტი იქნებოდა. ამიტომ მადლობა ზენიტს, რომ არ დამიტოვა. სხვა შემთხვევაში კრასნოდარშიც არ ვიქნებოდი.

***– ქართველი ფეხბურთელებიდან რუსეთში ყველაზე მეტს ვისთან ურთიერთობთ?***

– ანანიძესთან, ჭანტურიასთან და ლორიასთან. თითქმის ყველასთან ვმეგობრობ.

***– წარმოშობით საიდან ხართ?***

– თბილისიდან.

***– ჩემი კოლეგა შვებულების დროს საქართველოში იყო და დღემდე შთაბეჭდილების ქვეშაა. ადამიანები, ბუნება და ღვინო ძალიან მოეწონა, თქვენ რომელი ღვინო გიყვართ?***

– ტვიში, ნახევრადტკბილი – ძალიან მაგარია.

***– და კერძი?***

– ხინკალი.

***– სწორად გავიგე – ასეთი გოლი რომ გაიტანო, ბევრი ხინკალი უნდა ჭამო?***

– ალბათ, ხუმრობთ, ხომ? ხინკალს ბევრს ვერ შეჭამთ, მაქსიმუმ 5-7 ცალს. მაგალითად, მე მეტს ვერ ვჭამ. აი, როცა ჩემთან სტუმრები ჩამოდიან რუსეთიდან ან უკრაინიდან, 12-15 ცალს ჭამენ, ოღონდ მართლა.

***– თუ გავითვალისწინებთ, როგორ ამზადებენ საქართველოში, არ მიკვირს.***

– ხინკალს ურიგოდ არც რუსეთში, ქართულ რესტორნებში ამზადებენ, მაგრამ საქართველოში მაინც უკეთესია.

# ანჩელოტის ყოფილი ბავარიელები აკრიტიკებენ



მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა მეკარე ოლივერ კანმა კარლო ანჩელოტისა და ხოსეპ გვარდიოლას ბაიერნი ერთმანეთს შეადარა.

**ოლივერ კანი:**

– ანჩელოტის მეთაურობით გუნდს ნაკლები იდეები აქვს, ვიდრე გვარდიოლას დროს ჰქონდა. ბაიერნი მუდმივად 4-3-3 ტაქტიკურ სისტემას იყენებს და ანჩელოტი მასში ცვლილებას არ ახორციელებს. ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია თანამედროვე ფეხბურთში მხოლოდ ერთი სისტემით თამაში. შესაძლოა, უკეთესი ყოფილიყო იმ მწვრთნელის მოწვევა, რომელიც გვარდიოლას იდეებს გააგრძელებდა.

ოლივერ კანის მსგავსი განცხადება გააკეთა ბავარიელთა ყოფილმა ნახევარმცველმა ზე რობერტომ, რომელიც ახლა პალმეირასის ღირსებას იცავს:

– ბაიერნმა შეცდომა დაუშვა, ანჩელოტიზე რომ გააკეთა გათვლა. ძალიან რთულია გვარდიოლას იდეებისა და სათამაშო კონცეფციის მატარებელი მწვრთნელის მოძებნა.

იტალიელ მწვრთნელთან დაკავშირებით შედარებით ლოიალური განცხადება გააკეთა ბავარიელთა ძველმა ახალმა პრეზიდენტმა ული ჰიონესმა:

– პეპი ძლიერი პიროვნებაა და დიდ ყურადღებას დისციპლინას უთმობდა. შესაძლოა, ახლა ფეხბურთელები იმას უნდა მიეჩვიონ, რომ მათ ახლა უფრო მეტი თავისუფლება ეძლევათ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბოლოსკენ ბაიერნის თანმხლები იღბალი იქნება.

# მოურინიოს ისევ დასჯიან

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ჟოზე მოურინიოს ვესტ ჰემთან მატჩის პირველ ტაიმში ჩადენილი არასათანადო ქმედება დასდო ბრალად.

კვირას მანჩესტერ იუნაიტედმა პრემიერ ლიგის ზედიზედ მეოთხე საშინაო მატჩი ითამაშა ფრედ, რითაც 1990-91 წლების სეზონის შედეგი გაიმეორა.

მატჩის 27-ე წუთზე მოურინიომ, რომელიც აღაშფოთა მთავარი მსაჯის ჯონათან მოსის მიერ იუნაიტედის ნახევარმცველის პოლ პოგბასთვის ყვითელი ბარათის ჩვენებამ, ფეხი დაარტყა წყლის ბოთლს, რომელიც 20 მეტრის რადიუსში დაეცა.

მოსმა დაუყოვნებლივ გააძევა ჟოზე ტექნიკური ზონიდან, მატჩის დარჩენილი ნაწილი კი პორტუგალიელმა ვიპლოჟაში გაატარა.

მოსის ანგარიშის შესწავლის შემდეგ საფეხბურთო ასოციაციამ მოურინიოს ბრალი წაუყენა. ჟოზეს 1 დეკემბრის საღამომდე ექნება დრო ბრალდების გასაპროტესტებლად ან მასზე დასათანხმებლად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შედეგები

**28 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰადერსფილდი-უიგანი ................. 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლას პალმასი-ბილბაო ................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 13 | 10 | 3 | 0 | 36-11 | 33 |
| 2.ბარსელონა | 13 | 8 | 3 | 2 | 33-14 | 27 |
| 3.სევილია | 13 | 8 | 3 | 2 | 24-18 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 28-11 | 24 |
| 5.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 22-14 | 23 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-10 | 22 |
| 7.ეიბარი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-16 | 21 |
| 8.ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 17-16 | 20 |
| 9.სელტა | 13 | 6 | 2 | 5 | 21-23 | 20 |
| 10.ლას პალმასი | 13 | 5 | 4 | 4 | 24-21 | 19 |
| 11.მალაგა | 13 | 5 | 4 | 4 | 21-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 4 | 6 | 3 | 17-17 | 18 |
| 13.ალავესი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-16 | 16 |
| 14.ბეტისი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-25 | 14 |
| 15.ლეგანესი | 13 | 4 | 1 | 8 | 11-25 | 13 |
| 16.ვალენსია | 13 | 3 | 2 | 8 | 17-24 | 11 |
| 17.დეპორტივო | 13 | 2 | 4 | 7 | 13-23 | 10 |
| 18.ხიხონი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-27 | 9 |
| 19.ოსასუნა | 13 | 1 | 4 | 8 | 12-26 | 7 |
| 20.გრანადა | 13 | 0 | 5 | 8 | 11-29 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ნიურნბერგი ............. 3:1

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-სასუოლო.......................... 1:1

ინტერი-ფიორენტინა ..................... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 14 | 11 | 0 | 3 | 29-12 | 33 |
| 2.რომა | 14 | 9 | 2 | 3 | 33-16 | 29 |
| 3.მილანი | 14 | 9 | 2 | 3 | 25-18 | 29 |
| 4.ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 27-14 | 28 |
| 5.ატალანტა | 14 | 9 | 1 | 4 | 23-14 | 28 |
| 6.ტორინო | 14 | 7 | 4 | 3 | 31-17 | 25 |
| 7.ნაპოლი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-15 | 25 |
| 8.ინტერი | 14 | 5 | 3 | 5 | 22-18 | 21 |
| 9.ფიორენტინა | 13 | 5 | 5 | 3 | 20-15 | 20 |
| 10.ჯენოა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-15 | 19 |
| 11.სამპდორია | 14 | 5 | 4 | 5 | 17-20 | 19 |
| 12.კალიარი | 14 | 6 | 1 | 7 | 22-31 | 19 |
| 13.კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 14.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 14-21 | 16 |
| 15.უდინეზე | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| 16.სასუოლო | 14 | 4 | 2 | 8 | 17-26 | 14 |
| 17.ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-21 | 10 |
| 18.პესკარა | 14 | 1 | 4 | 9 | 11-26 | 7 |
| 19.კროტონე | 14 | 1 | 3 | 10 | 11-27 | 6 |
| 20.პალერმო | 14 | 1 | 3 | 10 | 10-27 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-პრო ვერჩელი ......... 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ნიორი ............................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ფეირენზე ............................. 6:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ატრომიტოსი ....................... 3:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ოსმანლი .............................. 1:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ლეხია-ლენჩნა ................................ 3:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოდენსე ................. 1:0

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 87 300 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

11 706 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

1 170,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

9 565 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 30 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 30 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 30 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

